ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №42

8 თებერვალი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრესა და ა.(ა).ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ (ს/კ-242008803) დირექტორს შორის 2011 წლის 18 ნოემბერს დადებული თხოვების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის N32 დადგენილების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაუქმდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და ა.(ა).ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ (ს/კ - 242008803) დირექტორს შორის 2011 წლის 18 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების, ავტობუსი PAZ-423400; გამოშვების წელი - 2007; სარეგისტრაციო მოწმობა - LV0003203; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი - M42340070001647; სარეგისტრაციო ნომერი - VZZ561, თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.
2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ (ს/კ - 242008803) დირექტორმა (თამარ კეკელიძე) სარგებლობის უფლებით გადაცემული სატრანსპორტო საშუალების დაბრუნება მოახდინოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, შესაბამისი ცვეთის გათვალისწინებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე).
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*